სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/187

ქ. თბილისი 18 ნოემბერი 2025წ

„წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის კვოტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-04/217 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე, 63-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე წესდების მე-10 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის, დავით ხვედელიძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 ნოემბრის სხდომის №01-05-02/26 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. „წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის კვოტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-04/217 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების პირველი პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
დ) აგრარული მეცნიერებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 4 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 4 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
ე) სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;";

ბ) დადგენილების პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;";

გ) დადგენილების პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს.

2. დადგენილება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**